



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 59

2011 წლის 27 მაისი

ქალაქი ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ და „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს იმ პირველი რიგის ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

1. მიმდინარე წლის ივნისის თვისათვის განხორციელდეს:

- ა) დაბა სურამის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტით სკვერების რეაბილიტაციის და ატრაქციონების მოწყობისათვის გათვალისწინებული თანხებიდან.
- ბ) დაბა სურამში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელ ადგილას სანატორიუმ „სურამი“-ს ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია საკანალიზაციო სისტემის მოწყობა რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხებიდან.
- გ) სოფ. ბრილში არხის წმენდის სამუშაოები მდინარეების, არხების რეაბილიტაციისა და წმენდის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული თანხებიდან.
- 2. განკარგულება შესასრულებელად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებს.
- 3. განკარგულება ძალაში შედის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: კოსტავას ქ. #13) მისი გაცნობიდან 1 თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე



დავით ლომიძე